შენიშვნები

2022 წლის მაჩვენებლების განსხვავება ადრე გამოქვეყნებულ 2022 წლის ოპერატიულ (წინასწარ) მონაცემებთან გამოწვეულია შემდეგი ძირითადი მიზეზით: საწარმოთა მხრიდან ოპერატიული (წინასწარი) მონაცემების დაზუსტებით.

1. ბიზნეს სტატისტიკის მონაცემები არ მოიცავს:

საქმიანობის კლასიფიკატორის NACE rev. 2-ის მიხედვით:

საქმიანობის სექტორებს: K (საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობა – 2006 წლიდან), O (სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება), T (შინა-მეურნეობების, როგორც დამქირავებლის, საქმიანობები; არადიფერენცირებული საქონლის და მომსახურების წარმოება შინამეურნეობების მიერ საკუთარი მოხმარებისათვის), U (ექსტერიტორი-ული ორგანიზაციების და ორგანოების საქმიანობები); 47.8 (საცალო ვაჭრობა ფარდულებში და ბაზრობებზე);

2006 წლიდან - კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს.

2. გამოკვლევის რესპონდენტებს წარმოადგენენ მხოლოდ შემდეგი ორგანიზაციულ-სამართ-ლებრივი ფორმის მქონე საწარმოები:

- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები
- სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებები
- კომანდიტური საზოგადოებები
- სააქციო საზოგადოებები
- კოოპერატივები
- ინდივიდუალური მეწარმეები.

3. გამოკვლეული საწარმოები კლასიფიცირდებიან:

- ძირითადი საქმიანობის შესაბამისად;
- ფაქტიური მისამართის შესაბამისად.

4. მონაცემები დამატებული ღირებულების, შუალედური მოხმარების, ფიქსირებულ აქტივებში განხორციელებული ინვესტიციებისა და ფიქსირებული აქტივების (ძირითადი კაპიტალის) შესახებ გამოქვეყნდება მხოლოდ წლიური პერიოდულობით.

5. 2006 წლამდე მხოლოდ ქვეყნის ნაერთ მაჩვენებლებში ჩართული იყო ისეთი სათაო საწარმოების მონაცემები, რომლებიც რეგისტრირებულნი იყვნენ მოცემულ ტერიტორიაზე, მაგრამ სამეწარმეო საქმიანობას ახორციელებდნენ რამდენიმე რეგიონში. 2006 წლიდან ამგვარი საწარმოების მაჩვენებლები ჩართულია სათაო ოფისის ადგილდებარეობის მიხედვით.

6. საწარმოები ზომის მიხედვით იყოფა შემდეგნაირად: მსხვილი, საშუალო და მცირე.

საწარმოთა ზომის განსაზღვრის შემდეგი მეთოდოლოგია მოქმედებს:

მსხვილია საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალოწლიური რაოდენობა აღემატება 249 კაცს ან საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა 60 მლნ ლარს.

საშუალო ზომისაა საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა მერყეობს 50-დან 250 კაცამდე, ან საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა — 12 მლნ ლარიდან 60 მლნ ლარამდე.

მცირე ზომისაა საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა არ აღემატება 50 დასაქმებულს და საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა არ აღემატება 12 მლნ ლარს.

ცალკეულ შემთხვევაში უმნიშვნელო განსხვავება საბოლოო შედეგსა და ჯამს შორის აიხსნება მონაცემთა დამრგვალებით.